European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction

„ევროპის ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ცენტრის“ (EMCDDA) ტენდენციების კვლევის მოკლე ანგარიში

სექტემბერი 2020

COVID-19-ის გავლენა ნარკობაზარზე, ნარკოტიკების მოხმარებაზე, ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ზიანსა და საპასუხო ზომებზე „ევროპული სამეზობლო პოლიტიკის“ (ENP) აღმოსავლეთ ქვეყნებში

ევროპის დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ცენტრისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეგულარულად ხდება ინფორმაციის განახლება Covid 19–ის პანდემიის სწრაფ განვითარებასთან და მის წინააღმდეგ განხორციელებულ საპასუხო ზომებთან დაკავშირებით, ზოგიერთ ქვეყანაში ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული სახელმძღვანელოებიც. EMCDDA-ის მიერ შეიქმნა COVID-19-ის რესურსცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ნარკოტიკულ საშუალებებსა და COVID-19-თან დაკავშირებულ განახლებულ ინფორმაციაზე წვდომას.

2019 წლიდან, EMCDDA-მ გააძლიერა თანამშრომლობა „ევროპული სამეზობლო პოლიტიკის“ პარტნიორებთან([1]) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ევროკავშირი ნარკოტივითარების მონიტორინგისათვის“ (The EU4Monitoring Drugs (EU4MD)) ფარგლებში. პროექტი მხარს უჭერს ეროვნულ და რეგიონულ მზადყოფნას, რათა შესაძლებელი იყოს ნარკოტიკებთან დაკავშირებული უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის საფრთხეებზე დროული იდენტიფიცირება და რეაგირება.

Funded by the European Union

EU4MD

([1]) ალჟირი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ეგვიპტე, საქართველო, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, ლიბია, მოლდოვა, მაროკო, პალესტინა*, ტუნისი და უკრაინა

*ეს დასახელება არ განიმარტება, როგორც პალესტინის სახელმწიფოს აღიარება და ზიანს არ აყენებს წევრი სახელმწიფოების ინდივიდუალურ პოზიციებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

შეჯამება

2020 წლის დასაწყისიდან მსოფლიო იმყოფება საზოგადოებრივი ჯანდაცვის უპრეცედენტო საგანგებო სიტუაციაში კორონავირუსის (COVID-19) პამდემიის შედეგად გამოწვეული საფრთხეების გამო, რამაც გამოიწვია ეროვნული მთავრობების მიერ პროგრესული ზომების გატარება, კერძოდ სოციალური დისტანცირებისა და კონტროლის სხვა ზომების შემოღება. იმისათვის, რათა „ევროპული სამეზობლო პოლიტიკის“ (ENP) აღმოსავლეთ ქვეყნებში ([2]) მომხდარიყო ნარკობაზარზე, ნარკომომხარებლებსა და მათთვის საჭირო სერვისებზე პანდემიის გავლენისა და შედეგების შესწავლა ევროპის ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ცენტრმა (EMCDDA) დაიწყო ტენდენციების კვლევა, შედეგად ამ ანგარიშში შეჯამებულია 2020 წლის მარტიდან მაისამდე ([3]) კვლევის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები.

როგორ შეიცვალა ნარკობაზარი?

- აღნიშნული კვლევის თანახმად, COVID-19-ის შეკავებასთან დაკავშირებული ზომების შემოღების შემდეგ, მომარაგების ჯაჭვების რღვევების გამო ნარკობაზარი შემცირდა მცირედ ან ზომიერად მთელ რეგიონში, რაც დასტურდება საზღვრებზე ნარკოტიკების ამოღების მოცულობის და რაოდენობის შემცირებით და ზოგიერთ ქვეყანაში გარკვეული სახის ნარკოტიკებზე საცალო ფასების ზრდით (იხილეთ სურათი).
- არსებობს იმის ნიშნები, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ნარკობაზრის ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს ამფეტამინების მცირემასშტაბიანი (სახლის პირობებში) წარმოების სწრაფი ზრდა.
- საცალო ვაჭრობის დონეზე, ნარკოტიკებით უკონტაქტო ვაჭრობას მიენიჭა უპირატესობა. სავარაუდოდ, ეს გამოიწვია ეროვნულ დონეზე გადაადგილების შეზღუდვის შემოღებამ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ზომების გაძლიერებამ და ფიზიკური კონტაქტების შეზღუდვის გზით COVID-19-ის გავრცელების შემცირების სტრატეგიებმა.
- ამავდროულად, სამართალდამცავთა საქმიანობაზე გავლენა მოახდინა სხვადასხვა გარემოებამ, რამაც გამოიწვია ნარკოდანაშაულის გამოვლენის მაჩვენებლის შემცირება, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს ეროვნული პრიორიტეტების დროებით ცვლილებებს, კერძოდ, სამართალდამცავი უწყებები მეტად ფოკუსირდნენ საზოგადოების უსაფრთხოებასა და წესრიგზე.

([2]) სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა.

([3]) კვლევის ანგარიშის სრული ტექსტი ხელმისაწვდომია ინგლისურად ბმულზე - www.emcdda.europa.eu

სურათი

სურათზე მითითებულია შერჩეულ ქვეყნებში COVID-19-ის პანდემიის საწყისი თვეების განმავლობაში ცვლილებები ნარკოტიკების ფასებსა და ხარისხზე (სისუფთავეზე)

	ფასები				ხარისხი/სისუფთავე			
	სომხეთი	საქართველო	მოლდოვის რესპუბლიკა	უკრაინა	სომხეთი	საქართველო	მოლდოვის რესპუბლიკა	უკრაინა
კანაფი (ფისი, ბალახი)	↑	↑↑	↑	↑	უცნობია	უცნობია	უცნობია	უცნობია
ჰეროინი	↑	↑↑	↑↑	↑	უცნობია	↓	უცნობია	უცნობია
კოკაინი	↑	უცნობია	↑↑	↑↑	უცნობია	უცნობია	უცნობია	↓
მდმა/ექსტაზი	უცნობია	↑↑	↑	↑↑	უცნობია	უცნობია	უცნობია	უცნობია
ამფეტამინები	↑	უცნობია	↑	↑	უცნობია	უცნობია	უცნობია	უცნობია
ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები	უცნობია	↑↑	უცნობია	↑	უცნობია	უცნობია	უცნობია	უცნობია
ლსდ/LSD	უცნობია	უცნობია	უცნობია	უცნობია	უცნობია	უცნობია	უცნობია	უცნობია

↑↑ შესამჩნევი ზრდა, >20% ↑ მცირე ზრდა, <20% ↓ შემცირება

წყარო: სამართალდამცავი უწყებების ექსპერტების გამოკითხვა (წარმოდგენილი სომხეთის მიერ (06.05.2020), საქართველოს მიერ (11.05.2020), მოლდოვას რესპუბლიკის მიერ (24.04.2020) და უკრაინის მიერ (08.05.2020)).

რა გავლენა იქონია COVID-19-მა ნარკოტიკების მოხმარებაზე, ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ზიანსა და სამედიცინო მომსახურებებზე?

- როგორც ჩანს, კანაფის მოხმარებამ ყველაზე ნაკლები ზეგავლენა განიცადა, მაგრამ აღინიშნა განსხვავებები მოხმარების ფორმებს შორის, კერძოდ, კანაფის რეკრეაციული მიზნით მომხმარებლებსა და უფრო ხშირ მომხმარებლებს შორის.
- ზოგიერთი წყარო ვარაუდობს, რომ რეგიონში საზღვარგარეთიდან კონტრაბანდულად შემოტანილი ისეთი არალეგალური ნივთიერებების უმეტესობაზე, როგორებიცაა ჰეროინი, მდმა, ამფეტამინები და კოკაინი ხელმისაწვდომობა შეიზღუდა, რამაც, სავარაუდოდ, გამოიწვია ამ ნივთიერებების მოხმარების შემცირება, თუმცა ამის ემპირიულად დასაბუთება რთულია ამ დროისთვის.
- ჰეროინის ლოკალურმა დეფიციტმა შეიძლება ხელი შეუწყო მკურნალობის მოთხოვნაზე ზრდას: მოიმატა ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის (ოჩთ/OST) პროგრამებში ჩართვის მსურველთა რაოდენობამ და ზოგადად, ფიქსირდება ნარკოდამოკიდებულების მკურნალობაზე მოთხოვნილების ზრდა.

- ზოგიერთ შემთხვევაში ჩანს, რომ არალეგალურ ნარკოტიკულ საშუალებებზე ხელმისაწვდომობის შემცირებამ გამოიწვია ისეთი ლეგალური ნივთიერებების მოხმარების ზრდა, როგორიც არის ალკოჰოლი, ფარმაცევტული ნივთიერებები, ოჩთ პროგრამების პრეპარატები, ან სხვა ფსიქოტროპული მედიკამენტები. აღნიშნული ნივთიერებები ხშირად მოიხმარება არალეგალურ ნარკოტიკულ საშუალებებთან ერთად.

- COVID-19-ის წინააღმდეგ გატარებული ზომების საწყის ეტაპზე შემცირდა სამედიცინო სერვისების განხორციელება, ფაქტობრივად, აღნიშნულმა ფაქტმა COVID-19-ის სამკურნალო პროგრამების გარდა ჯანდაცვის ყველა სერვისზე მოახდინა გავლენა. შედეგად ნარკომომხარებლების წვდომა მათთვის ჩვეულ სერვისებზე შემცირდა. ზოგიერთ ქვეყანაში შეიზღუდა ახალი კლიენტების ჩართვა წამალდამოკიდებულების სამკურნალო სერვისებში, განსაკუთრებით ოჩთ პროგრამებში, ასევე, შემცირდა წვდომა სისხლის გზით გადამდები ინფექციების ტესტიტებაზე.

- სამთავრობო უწყებებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც ახორციელებენ შპრიცებისა და ნემსების გაცვლით პროგრამებს, მოახდინეს მომსახურების მოდელების ადაპტირება, კერძოდ, სერვისებს აწვდიდნენ დისტანციურად და მობილური ჯგუფების დახმარებით, იქ, სადაც ეს იყო შესაძლებელი.

- მკურნალობის უწყვეტად მიწოდების მიზნით, რეგიონის ქვეყნების უმეტესობამ სწრაფად მოახდინა ჩანაცვლებით თერაპიის პროგრამების ადაპტირება, კლიენტებისთვის ოჩთ მედიკამენტების სახლში წასაღები დოზების გაცემის გზით. უკრაინაში, კერძო პრაქტიკოსი ექიმების ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეინიშნებოდა მეთადონზე გაზრდილი მოთხოვნა. ნარკომომხარებლების უფლებათა დამცველები მიესალმებიან ეროვნული პროგრამების ახალ პრაქტიკას, თუმცა, ზოგიერთი ანგარიში მიუთითებს სახლში გასატანი დოზების მუდმივი მონიტორინგისა და პრაქტიკოსი ექიმების მუშაობის მხარდაჭერის საჭიროებზე.

რა არის COVID-19-ის შესაძლო გრძელვადიანი გავლენა ნარკობაზარზე, ნარკომომხმარებლებსა და მათთვის საჭირო სერვისებზე „ევროპული სამეზობლო პოლიტიკის“ (ENP) აღმოსავლეთ რეგიონში?

- ევროპასა და ENP რეგიონში ამ და სხვა მსგავსი კვლევების მიგნებები მიანიშნებს იმაზე, რომ საზღვრების ხელახლა გახსნის შემდეგ, საჭირო იქნება მზადყოფნის შენარჩუნება კრიმინალური ქსელების საქმიანობის და გასაღების მეთოდების მიმართ (ინტერნეტ და დარქნეტ ბაზრები, დაშიფრული კომუნიკაცია, პირისპირ მიწოდება) (EMCDDA და Europol, 2020). აღნიშნული ინფორმაცია უნდა აისახოს კომპეტენტური ორგანოების სტრატეგიებში, ასევე, ექსპერტებმა უნდა მოითხოვონ უფრო მეტი ინვესტიციის ჩადება პერსონალის გადამზადებაში, იმის უზრუნველსაყოფად, რათა აღნიშნული პერსონალი მზად იყოს რეაგირება მოახდინოს ნარკობაზარზე განვითარებულ ნებისმიერ ახალ ბიზნეს მოდელზე.

- ნარკოტიკების მოხმარების თვალსაზრისით, კვლავ დაკვირვებას საჭიროებს COVID-19-ის გრძელვადიანი გავლენის და იზოლაციის ზომების შემსუბუქების შემდგომი ვითარება. სიტუაცია მოითხოვს მუდმივ მონიტორინგს იმის გათვალისწინებით, რომ მიღებულია ცნობები ზოგიერთი ნარკოტიკული საშუალების, როგორიცაა ჰეროინი და კოკაინი, შემცირებული ხელმისაწვდომობისა და მოხმარების შესახებ, ამასთან, ზოგიერთ ქვეყანაში სახლის პირობებში წარმოებული ამფეტამიენების გამოჩენის და უფრო ადვილად ხელმისაწვდომი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უფრო ხშირად მოხამრების შესახებ.

- ნარკოტიკებთან დაკავშირებული ზიანის შემცირების მიზნით, ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მომსახურების მიმწოდებლებს შესაძლოა დასჭირდეთ იმის განხილვა, თუ როგორ უნდა შეინარჩუნონ ინოვაციური მიდგომები, როგორიც არის ონლაინ კონსულტაცია და ფსიქოლოგიური დახმარება, ოჩთ მედიკამენტის სახლში გატანის დოზები და დისტანციური სერვისები, რადგან ეს შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი იმ პირთა მოზიდვისა და შენარჩუნებისთვის, ვისაც ესაჭიროება ნარკოტიკებთან დაკავშირებული მომსახურებების მიღება. ამავდროულად, ჯანდაცვის სერვისებს შეიძლება ისევ მოუწიოთ გამკლავება დამატებით დატვირთვასთან, რაც უკავშირდება როგორც კლიენტების, ასევე, ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებელთა უსაფრთხოების დაცვას მანამ, სანამ ხელმისაწვდომი არ იქნება COVID-19-ის ეფექტიანი მკურნალობა ან მისი გამომწვევი ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა.

რესურსები COVID-19-ის შესახებ

EMCDDA

თემების გვერდი COVID-19-ის და ნარკოტიკების შესახებ: http://www.emcdda.europa.eu/topics/covid-19

ევროპა

„ევროპის დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ცენტრი“: https://www.ecdc.europa.eu/en/novel-coronavirus-china

„ევროკომისიის მოქმედების და რეაგირების გუნდი“: https://ec.europa.eu/info/live-work-travel-eu/health/coronavirus-response_en

„ევროპის სამეცნიერო მედიაცენტრი“ (ევროპის პარლამენტი): https://sciencemediahub.eu/

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) ევროპა: http://www.euro.who.int/en/home

მსოფლიო

„დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ცენტრები“: https://www.cdc.gov/coronavirus/2019-nCoV/index.html და https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/community/homeless-shelters/plan-prepare-respond.html

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO): https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019